მე-7 კლასი

ალგებრა

1. იპოვეთ x, თუ $5 + 3x \leq 3 + 4x \leq 7 + 2x$
   A. 5 B. 3 C. 2

2. სამი შოკოლადი და ხუთი ქადა ერთად 15 ლარი ღირს. რა ღირს ერთი შოკოლადი, თუ ის 20 თეთრით ძვირია ქადაზე?
   A. 160 თეთრი B. 2 ლარი C. 220 თეთრი

3. იპოვეთ რიცხვი, რომლის მესამედი 13-ით ნაკლებია ამ რიცხვის ნახევარზე.
   A. 42 B. 66 C. 78

გეომეტრია

4. AB მონაკვეთის სიგრძე 12-ის ტოლია. AB წრფეზე რამდენი ისეთი C წერტილი არსებობს, რომლისთვისაც $AC + CB = 12$
   A. უსასრულოდ ბევრი B. ორი C. ერთი

5. A, B, C და D წერტილები ერთ წრფეზე მდებარეობს. $CD = 5, DA = 3, BD = 5$. ამ წერტილებიდან რომლებია კიდეებში?
   A. D და A B. C და B C. A და C

6. l წრფე კვეთს AB, AE, BD და EC მონაკვეთებს. ჩამოთვლილებიდან კიდევ რომელ მონაკვეთებს გადაკვეთს ის აუცილებლად?
   A. DE და BC B. DE და AC C. BC და BE

ლოგიკა

7. მაქსიმუმ რამდენი მომდევნო რიცხვი შეიძლება დავასახელოთ ისე, რომ არც ერთი მათგანის ჩანაწერში არ იყოს ორი ერთნაირი ციფრი?
   A. 10 B. 11 C. 99

8. მართკუთხედიდან, რომლის გვერდების სიგრძეებია 9სმ და 8 სმ, მაქსიმუმ რამდენ ცალ ისეთ მართკუთხედს გამოვჭრით, რომელთა გვერდების სიგრძეებია 5სმ და 3სმ?
   A. 3 B. 4 C. 5

რიცხვთა თეორია

9. რამდენჯერ გაიზრდება სამნიშნა რიცხვი, თუ მარჯვნიდან მივუწერთ იმავე სამნიშნა რიცხვს?
   A. 11-ჯერ B. 101-ჯერ C. 1001-ჯერ

10. იპოვეთ სამნიშნა რიცხვი, რომელიც 55-ის ტოლი გახდება, თუ გავყოფთ მის ბოლო ციფრზე.
    A. 275 B. 375 C. 555